საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, „მზიურის“ ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.14.005.311), გალერეის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საარქივო მასალების საფუძველზე შედგენილი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა“.

დამკვეთის, შპს „ანაგი დეველოპმენტი 1“-ის თხოვნით ჩვენს მიერ 2022 წლის 4 მაისს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, „მზიურის“ ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.14.005.311), გალერეის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, „მზიურის“ ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.14.005.311), გალერეის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებული არის შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2022 წლის მაისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ გეოლოგი ალ. პასიკაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევა.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 6 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
4. საპროექტო შენობის გეგმა---------- 1 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე გათვალისწინებულია ერთსართულიანი შენობის მშენებლობა, სარდაფის სართულით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია მონოლითურ რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება ბეტონის ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

წინამდებარე დასკვნაში გამოყენებულია განყოფილების მიერ ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომელთა მასალები დაცულია განყოფილების არქივში.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, საკვლევ მოედანზე გამოყოფილი იქნა სამი საინინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე):

1. I სბე - ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი;
2. II სბე - ფენა 2 – ტბიური თიხოვანი გრუნტის I ჰორიზონტი;
3. III სბე - ფენა 3 – ტბიური თიხოვანი გრუნტის II ჰორიზონტი.

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოედნის ზედა ფენა ნაყარი გრუნტია, იგი შენობის ფუძედ არ გამოდგება და ამიტომ მისი თვისებები არ არის გამოკვლეული. შემდეგი ფენა ტბიური ნალექებია. მათში ორ ფენას გამოყოფენ, ფენა 2 თიხნარებია, ძნელადპლასტიკური კონსისტენციის, ხოლო მეორე ფენა (ფენა 3) უკვე თიხებია, რომლებიც ხასიათდებიან ნახევრადმყარი კონსისტენციით. საარქივო მონაცემებით ტბიური ქანების ჯამური სიმძლავრე 20-25 მ-ს შეადგემნს. შემდეგ უკვე ძირითადი ქანებია, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა.

როგორც ავტორი აღნიშნავს ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მდგრადია და რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ზვავი, სუფოზია, კარსტი და სხვა) განვითარება არ არის მოსალოდნელი.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 5.4-8.8 მ-ის ფარგლებში. დამყარებული დონე 3.6-7.9 მ. წყალი იჩენს სხვადასხვა ხარისხის აგრესიას სხვადასხვა ცემენტზე დამზადებული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისში, „მზიურის“ ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.14.005.311), გალერეის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჭრელაშვილი

''ახალი საქქალაქმშენპროექტი''
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საქართველოს ქალაქმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი

დაკვეთა №17/2022

ძ. თბილისში, „მზიურის" ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.14.005.311) გალერეის მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საარძივო მასალების საფუძველზე შედგენილი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა

დირექტორი ბ. მირიანაშვილი

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების უფროსი ზ. კვაჭანტირაძე

თბილისი 2022 წ.

შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"
საქართველოს ქალაქმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი, 0160.
ალ. ყაზბეგის გამზ. №2 / პეკინის ქ. №34

"AKHALI SAKKALAKMSHENPROEKTI" LTD.
(The Georgian Institute for Regional & Urban Planning)
2 A.Kazbegi Ave./ 34 Pekin Str. 0160,
Tbilisi, Georgia

Tel: (995 32) 37 52 26; E-mail: sqmp_project@yahoo.com
www.sqmp-project.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

№	მასალების დასახელება	გვერდების და ნახაზების №
	I ტექსტური ნაწილი	
1	ტექნიკური დავალება	1
2	საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა	2 – 7
	II გრაფიკული მასალა	
3	უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში	ფ. №1
4	საპროექტო შენობის გეგმა	ფ. №2

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის შესადენად

ობიექტის დასახელება – გალერეის შენობა.

დამკვეთი – შპს „ანაგი დეველოპმენტი 1“.

ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, „მზიურის“ ტერიტორია (ს/კ 01.14.14.005.311).

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია.

შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – მეორე.

პროექტით გათვალისწინებულია ერთსართულიანი შენობის მშენებლობა, სარდაფის სართულით. პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული მიბმული იქნება ადგილობრივ რელიეფზე (დადგინდება მოგვიანებით).

საძირკვლის ტიპი და ჩაღრმავება დამოკიდებული იქნება უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე.

თქვენს მიერ უბნის მომიჯნავედ შესრულებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის საარქივო მასალების საფუძველზე შეგვიდგინეთ უბნის საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა.

შესრულებული გეოტექნიკური კვლევის მასალები წარმოგვიდგინეთ აკინძული 2 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

დანართი: 1. უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში;
2. საპროექტო შენობის გეგმა 1:100 მასშტაბში.

დავალება გასცა ი. ჭალიძე

ქ. თბილისში, „მზიურის“ ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.14.005.311) გალერეის მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საარქივო მასალების საფუძველზე შედგენილი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა

შპს „ანაგი დეველოპმენტი 1-ის” დაკვეთით (დაკვეთა №17/2022), შპს „ახალი საქ-ქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ, 2022 წლის მაისის თვეში, ქ. თბილისში, „მზიურის“ ტერიტორიაზე, გალერეის მშენებლობისთვის არსებული საარქივო მასალების საფუძველზე შეადგინა გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა.

დასკვნის შედგენის მიზანი ითვალისწინებდა სამშენებლოდ გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათებას და შენობის დაფუძნების პირობების გადაწყვეტას.

დასაპრექტებელი გალერეის შენობა ტექნიკური დავალების თანახმად, ერთსართულიანია, მიწისქვეშა ერთი სართულით.

უშუალოდ უბნის ფარგლებში წინა წლებში ჩატარებული რაიმე კვლევის მასალები ცნობილი არ არის. უბნის მომიჯნავედ, მის სამხრეთ-დასავლეთით 2019 წლის თებერვალ-მარტში, განაშენიანების კომპლექსის მშენებლობისთვის, ასევე მზიურის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების მშენებლობისთვის, ზემოთ აღნიშნული განყოფილების მიერ ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომელთა მასალები დაცულია განყოფილების არქივში და მათი მონაცემებით შედგენილია წინამდებარე დასკვნა.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტერიტორიის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში.

გეომორფოლოგიურად, ტერიტორია წარმოადგენს ვაკის ძველი ნატბეური დეპრესიის ნაწილს, გაკვეთილს მდ. ვერეს ხეობით, რომელიც თანამედროვე რელიეფის დონემდე შევსებულია ტბიური ნალექებით და მათი მფარავი ტექნოგენური გრუნტით. უბანი ხასიათდება ტექნოგენური რელიეფით.

პნ 01.05-08-ის („სამშენებლო კლიმატოლოგია“) თანახმად, ქ. თბილისის, ვაკის რაიონის მეტეოროლოგიური სადგურის (58) მონაცემებით კლიმატური მახასიათებლების მნიშვნელობები შემდეგია:

- საშუალო წლიური ტემპერატურა +12,2°C;
- ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –23°C;

– ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 560 მმ;

– თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;

– ქარის უდიდესი სიჩქარე, შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 28 მ/წმ;

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – Wo=0,48 კპა;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

სამშენებლო უბნის ლითოლოგიური ჭრილი ძირითადად ხასიათდება მის სამხრეთ-დასავლეთიდან მომიჯნავე, განაშენიანების კომპლექსის ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მასალების მონაცემების მიხედვით. აქ შედგენილი ლითოლოგიური ჭრილის მიხედვით მიწის ზედაპირიდან 16,30–22,70 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია ტექნოგენური (tQIV) გრუნტი – ნაყარი, რომელიც წარმოდგენილია თიხოვანი გრუნტების, ღორღის, ძირითადი ქანების ნატეხოვანი მასალის და სამშენებლო ნაგვის ნარევით (ფენა 1).

ნაყარი გრუნტის დაყრა განპირობებული იყო ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით – ე.წ. „კონტრფორსის“ შექმნით.

როგორც ცნობილია, ვაკის ნატბეური დეპრესიის ფარგლებში განვითარებული იყო მეწყრული პროცესი, რომელთა სალიკვიდაციოდ დამუშავდა და განხორციელდა მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების კომპლექსი, კერძოდ მდ. ვერეს ნაპირდამცავ ჯებირებში მოქცევა და მეწყრული სხეულების გადაადგილების გზაზე წინააღმდეგობების შექმნა, მძლავრი ნაყარი გრუნტის გეგმაზომიერი დაყრით.

გატარებულმა მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებმა აღმოფხვრა მეწყრული მოვლენა და ტერიტორია ამჟამად სტაბილიზებულ მდგომარეობაშია.

ნაყარი გრუნტი არაერთგვაროვანია – ზოგან ჭარბობს თიხოვანი გრუნტი, ზოგან მსხვილნატეხოვანი. ნაყარი გრუნტი დიდი ხნის ასაკიდან გამომდინარე კონსოლიდირებულია.

ნაყარი გრუნტი აღნიშნული სიღრმეებიდან 16,30–22,7 მ-დან იცვლება ტბიური (lQIII) ნალექებით, წარმოდგენილი ძნელპლასტიკური კონსისტენციის მოყვითალო-ყავისფერი თიხნარით (ფენა 2) – ტბიური ნალექების I ჰორიზონტი და ნახევრადმყარი კონსისტენციის, მოლურჯო-რუხი შეფერილობის თიხებით (ფენა 3) – ტბიური ნალექებსი II ჰორიზონტი.

საარქივო მონაცემებით ტბიური ნალექების ჯამური სიმძლავრე 20–25 მ-ია და თავის მხრივ შემოფენილია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანებით – არგილითების და თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობით.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ გრუნტის წყლები უბნის სიახლოვეს გამოვლენილია 5,4–8,8 მ-ის ფარგლებში მიწის ზედაპირიდან და დამყარებულია 3,6–7,9 მ-ის სიღრმის ფარგლებში.

გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის თანახმად პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178-76) გამოყენებისას – სუსტად აგრესიულია W4–W6 მარკის წყალშეუღწევადი ბეტონების მიმართ და არააგრესიულია W8 მარკის წყალშეუღწევადი ბეტონებისადმი.

არმატურის მიმართ:

– არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;

– სუსტად აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

ზემოთ აღწერილი გრუნტები ლაბორატორიულად დეტალურად არის შესწავლილი და მათი მნიშვნელობები გამოყენებულია მოცემული უბნისთვისაც.

დასკვნა და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. სამშენებლოდ გამოყოფილი უბანი მდებარეობს ძველი სტაბილიზირებული მეწყრის ზონაში, რაც ამჟამად საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით არ წარმოადგენს არახელსაყრელ ფაქტორს.

   თუმცა არახელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენს ფუძეში სეისმური თვისებების მიხედვით III კატეგორიის (ნაყარი გრუნტი) გრუნტის არსებობა და გრუნტის წყლის დამყარების შედარებით მარალი დონე (3,6 მ).

   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო უბანი სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, აღნიშნული არახელსაყრელი ფაქტორების გათვალისწინებით, მიეკუთვნება – III კატეგორიას (რთული).

2. უბნის ლითოლოგიურ ჭრილში, სამშენებლო თვისებების მიხედვით, გამოიყოფა სამი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი **(სბე)**:

   I სბე – ტექნოგენური გრუნტი – ნაყარი (ფენა 1);

   II სბე – ტბიური თიხოვანი გრუნტის I ჰორიზონტი (ფენა 2);

   III სბე – ტბიური თიხოვანი გრუნტის II ჰორიზონტი (ფენა 3).

3. სამშენებლო უბნის ლითოლოგიური სურათიდან და დასაპროექტებელი გალერეის შენობის სართულიანობიდან (ერთი სართული) გამომდინარე, ფუძეში აქტიური ზონის ფარგლებში გავრცელებული იქნება **I სბე**-ის ნაყარი გრუნტი (ფენა 1). აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნაყარი გრუნტის მონაცვლეობა ფუძეში საკომპენსაციო ბალიშის (ფენობრივად მოტკეპნილი ხრეშ-კენჭნაროვანი) გამოყენება, რომლის სისქე განისაზღვროს ანგარიშებით, პნ 02.01-08-ის მუხლი 11, პ 11-ის მოთხოვნის დაცვით.

4. ფუძის ანგარიშისთვის ქვემოთ ცხრილში, მოცემულია სამივე **სბე**-ის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები, მიღებული საარქივო მასალების ლაბორატორიული გამოკვლევების, ნორმატიული დოკუმენტების და საცნობარო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე.

№	გრუნტის მახასიათებელი	საანგარიშო მნიშვნელობები		
		I სბე (ფენა 1)	**II სბე** (ფენა 2)	**III სბე** (ფენა 3)
1	სიმკვრივე, ρ გ/სმ^3	1,68	1,88	1,95
2	ხვედრითი შეჭიდულობა, c კპა (კგძ/სმ^2)	15(0,15)	30(0,30)	56(0,56)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	15	21	19
4	დეფორმაციის მოდული, E მპა (კგძ/სმ^2)	10(100)	16(160)	23(230)
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა, R_0 კპა (კგძ/სმ^2)	130(1,3)	250(2,5)	300(3,0)
6	დენადობის მაჩვენებელი I_L	0,27	0,35	0,14
7	საგების კოეფიციენტი, k კგ/სმ^3	1,5	3,0	4,0
8	პუასონის კოეფიციენტი, μ	0,35–0,42	0,35	0,42

5. ფენობრივად (0,20–0,25 მ) შემკვრივებულ ხელოვნურ ფუძეზე საანგარიშო წინაღობა შეიძლება მიღებული იქნეს R_0=300 კპა (3,0 კგძ/სმ^2), დეფორმაციის მოდული E=35 მპა (350 კგძ/სმ^2).

6. მიწისქვეშა სართულის მოწყობისას გათვალისწინდეს გრუნტის წყლის შესაძლო გამოვლინება (დამყარების მაქსიმალური დონე 3,6 მ), მისი დონის გაკვეთის შემთხვევაში და გათვალისწინდეს შესაბამისი სპეციალური ღონისძიება – ჰიდროიზოლაცია ან დრენაჟი.

   წყლის მოდენი მიღებული იქნეს 0,01 ლ/წმ.

7. გრუნტის წყალს ახასიათებს სხვადასხვა ხარისხის (სუსტი) სულფატური აგრესიულობა. მის ზონაში მოხვედრილი რკინაბეტონის კონსტრუქციები დამზადებული იქნეს წყლის ქიმიური ანალიზის მიხედვით რეკომენდებულ ცემენტებზე.

8. პნ 01.01–09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში.

   უბანზე გავრცელებული გრუნტები სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნებიან:

   ა) ხაყარი გრუნტი (ფენა 1) – III კატეგორიას;

   ბ) ტბიური თიხოვანი გრუნტები (ფენები 2 და 3) – II კატეგორიას.

   ვინაიდან III კატეგორიის გრუნტის სიმძლავრე მკვეთრად აღემატება 5 მ-ს იგი მიეკუთვნება სეისმურად არახელსაყრელს და უბნის საანგარიშო სეისმურობა განისაზღვროს გრუნტული პირობების მიხედვით.

   სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი ქ. თბილისის ზონისთვის A=0,17.

9. ქვაბულის ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01–87-ის ც.ც. 3.11; 3.12; 3.15 და სნ და წ III-4-80 მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული ნაყარი გრუნტი (ფენა 1), სნ და წ IV–2–82-ის I–I ცხრილის თანახმად, სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას მიეკუთვნება – II კატეგორიას, სიმკვრივით 1700 კგ/მ^3 (რიგ. №24ა).

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის“
საინჟინრო გეოლოგიური კვლევების
განყოფილების მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი


4618025
480325
480350
480375
480400
4618000
480350
4617975
4617950
01.14.14.005.197
ს.კ. 01.14.14.005.310
პირობითი აღნიშვნები
ობიექტის მისამართი
დანიშნულება
209 კვ.მ
შემსრულებელი
თარიღი
08.12.2021

ბ ე ბ მ ა

მ-ბი 1:100



ზ. №2

CV – ჭოხონელიძე გუგა

გვარი სახელი, ამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძე №10, ბინა 25 ტელ: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ გეოლოგიის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის – აკადემიკოსი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკის და ფუძე - საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიულია "საქართველოს ლიოსისებული გრუნტები" (1976წ) და "ამიერკავკასიის ლიოსისებული გრუნტები " (1988წ) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის სოხუმის და ქ. ფოთის საინჟინრო "გეოლოგიურ პირობები გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. "გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და "საინჟინრო ნაგებობები" (2012წ.) ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01-2003წ. "შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული-მშობლიური; რუსული-კარგად; ინგლისური-ლექსიკონის დახმარებით.

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 2 ноября 1951

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 2 ноября 1951 г. (протокол № 16)

Сохиашвили Луке Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 196[illegible] წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
ამ ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის 1972 წ.
30 ივნისის დადგენილებით
გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა
სამთო ინჟინერ-
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1972 წ. „2" [illegible]

სარეგისტრაციო № ГЕ-205

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010539

სახელი გეგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ———

№ ლ 0266413

გ. ჭოხონელიძე

პირადი ხელმოწერა

მისამართი ———

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე განყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ———

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა